2.1.12. **ბლოკი „ც“-ს საერთო საკუთრება** ნიშნავს ბლოკის „ც“-ს შენობა-ნაგებობის და მიწის ნაკვეთი N 1-ის ტერიტორიის იმ ნაწილს რაც არ არის ან/და არ იქნება ბინის მესაკუთრეთა ინდივიდუალური საკუთრება (მათ შორის პროექტით გათვალისწინებული კეთილმოსაწყობი ტერიტორია), ასევე ამხანაგობის საერთო საკუთრება. ბლოკი „ც“-ს საერთო საკუთრება არ მოიცავს ბლოკები „ა“ და „ბ“-ს და მიწის ნაკვეთი N 2-ის საერთო საკუთრებას, ასევე ამ ბლოკებში და მიწის ნაკვეთი N 2-ზე მდებარე ინდივიდუალურ საკუთრებას;

2.1.13. **კომლექსი** ნიშნავს ბლოკ „ა“-ს, ბლოკ „ბ“-სა და ბლოკ „ც“-ს;

2.1.14. **ხელშეკრულება** ნიშნავს მხარეთა შორის დადებულ ამ ნასყიდობის ხელშეკრულებას (მათ შორის მის ნებისმიერ დანართს), ასევე მასში პერიოდულად შეტანილი ცვლილებებსა და დამატებებს;

2.1.15. **დანართი** ნიშნავს ამ ხელშეკრულების დანართ(ებ)ს, რომელიც/რომლებიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად;

2.1.16. **ექსპლუატაციაში მიღება** ნიშნავს უფლებამოსილი ორგანოს მიერ კანონით დადგენილი წესით უძრავი ქონების ვარგისად აღიარებას;

2.1.17. **პროექტი** ნიშნავს უფლებამოსილი ორგანოს მიერ კომპლექსის (ერთიანი კომპლექსის ან/და მისი ცალკეული ნაწილ(ებ)ის მშენებლობისთვის დამტკიცებულ პროექტს;

2.1.18. **საჯარო რეესტრი** ნიშნავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს;

2.1.19. **ოქმი** ნიშნავს მიღება-ჩაბარებას რომელიც ადასტურებს ნასყიდობის საგნის მყიდველის მფლობელობაში გადაცემას;

2.1.20. **მმართველი** ნიშნავს გამყიდველის მიერ განსაზღვრულ პირს ან უშუალოდ გამყიდველს (თუ ამას განსაზღვრავს გამყიდველი) რომელიც განახორციელებს ბლოკი „ც“-ს ან მთლიანი კომპლექსის

საერთო დანიშნულების ქონების მოვლა/პატრონობას, მართვას რომელთანაც მყიდველი დებს მომსახურების ხელშეკრულებას;

2.1.21. **მომსახურების ხელშეკრულება** ნიშნავს ხელშეკრულებას მომსახურების შესახებ რომელიც მყიდველმა უნდა გააფორმოს მმართველთან და რომელიც განსაზღვრავს იმ მომსახურების გაწევის პირობებს რაც მმართველმა უნდა გაწიოს საერთო საკუთრების ფართზე და ასევე სხვა მომსახურების პირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2.1.22. **ამხანაგობა** ნიშნავს ბლოკი „ც"-ს ინდივიდუალური საცხოვრებელი ბინების მესაკუთრეთა ამხანაგობას.

3. ხელშეკრულების საგანი, ნასყიდობის საგანის ღირებულება და გადახდის პირობები

3.1. გამყიდველი ყიდის მყიდველზე ნასყიდობის საგანს და მყიდველს გადასცემს ნასყიდობის საგანს საკუთრებაში ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით.

3.2. ეს ხელშეკრულება ჩაბარდება საჯარო რეესტრში და მყიდველი აღირიცხება ნასყიდობის საგნის მესაკუთრედ, კერძოდ კი შემდეგი საკადასტრო ერთეულების მესაკუთრედ:

(i) საკადასტრო კოდი: 01.18.04.018.067.01.02.040
(ii) საკადასტრო კოდი: 01.18.04.018.067.01.02.041
(iii) საკადასტრო კოდი: 01.18.04.018.067.01.04.078
(iv) საკადასტრო კოდი: 01.18.04.018.067.01.04.080
(v) საკადასტრო კოდი: 01.18.04.018.067.01.04.082

3.3. ამ ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღისთვის ნასყიდობის საგანზე რეგისტრირებულია პირველი რიგის იპოთეკა სს საქართველოს ბანკის სასარგებლოდ (შემდგომში **ბანკის იპოთეკა**). გამყიდველი ვალდებულია მყიდველს საკუთრებაში გადასცეს უფლებრივად უნაკლო ნასყიდობის საგანი ამავე ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობებით. შესაბამისად, გამყიდველი ვალდებულია ამ ხელშეკრულების ხელმოწერიდან 4 (ოთხი) სამუშაო დღის ვადაში მოიპოვოს სს საქართველოს ბანკის წერილობითი თანხმობა ბანკის იპოთეკის გაუქმებაზე, ჩააბაროს აღნიშნული თანხმობა საჯარო რეესტრში და უზრუნველყოს უფლებრივად უნაკლო ნასყიდობის საგნის რეგისტრაცია მყიდველის საკუთრებაში. იმ შემთხვევაში თუ ნებისმიერი მიზეზით არ მოხდება ნასყიდობის საგანზე იპოთეკის ან/და სხვა უფლებრივი ნაკლის გაუქმება, მაშინ გამყიდველი სრულად დაუბრუნებს მყიდველს ნასყიდობის ღირებულებას და მხარეებს შორის აღდგება პირვანდელი მდგომარეობა.

3.4. ნასყიდობის საგნის ჯამური ღირებულებაა **1,336,012.23 (ერთი მილიონ სამას ოცდათექვსმეტი ათას თორმეტი აშშ დოლარი და ოცდასამი ცენტი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში**. ბინების ნასყიდობის ღირებულებაა **1,321,012.23 (ერთი მილიონ სამას ოცდაერთი ათას თორმეტი აშშ დოლარი და ოცდასამი ცენტი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში**, ხოლო ავტოსადგომების ჯამური ღირებულებაა **15,000 (თხუთმეტი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.**

3.5. ამ ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღისთვის მყიდველს სრულად აქვს გადახდილი ნასყიდობის ღირებულების ჯამური ღირებულება.

3.6. ამ ხელშეკრულების თარიღისთვის გამყიდველი ახორციელებს კომპლექსის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და მშენებლობის ნებართვაში ცვლილებების შეტანას. მშენებლობის ნებართვაში ცვლილებების შეტანის ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შემდეგ, გამყიდველი უზრუნველყოფს კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის ადმინისტრაციულ ორგანოსთან შეთანხმებას, მშენებლობის ნებართვაში ცვლილებების შეტანას რის შედეგადაც მოხდება ბინების (საკადასტრო ერთეულებით 01.18.04.018.067.01.02.040 და 01.18.04.018.067.01.02.041) კორექტირება/გაერთიანება ამ ხელშეკრულების (მათ შორის დანართი N 1-ის) შესაბამისად რის შედეგადაც გაერთიანებული ბინა დარეგისტრირდება ერთ საკადასტრო ერთეულად დაწართ N 1-ის მახასიათებლების (მათ შორის ბინის გაერთანებული ნახაზის) შესაბამისად. აღნიშნულის შედეგად მყიდველი რეგისტრირებული იქნება ბინის (დანართი N 1-ის

შესაბამისად კორექტირებული და გაერთანებული ბინის) მესაკუთრედ და ამავე დროს მყიდველი კვლავ იქნება რეგისტრირებული სამივე ავტოსადგომის მესაკუთრედ. გამყიდველი მყიდველს წარუდგენს გაერთიანებული ბინის საჯარო რეესტრის ამონაწერს იმის დასტურად, რომ გამყიდველმა ამ ხელშეკრულების დანართ N 1-ში განსაზღვრული მახასიათებლებისა და პარამეტრების შესაბამისად უზრუნველყო გაერთიანებული ბინის რეგისტრაცია ცალკე საკადასტრო ერთეულად და მყიდველი რეგისტრირებულია დანართი N 1-ის შესაბამისად გაერთიანებული ბინის მესაკუთრედ და გაერთიანებული ბინა.

3.7. მყიდველისთვის ცნობილია რომ ამ ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღისთვის მყიდველი ახორციელებს კომპლექსის მშენებლობის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას, ცვლილებების შეტანას მშენებლობის ნებართვაში და მყიდველი თანახმაა და წინამდებარე ხელშეკრულებით იძლევა წერილობით თანხმობას რომ აღნიშნული წარმოების ფარგლებში გამყიდველმა მოახდინოს შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის კორექტირებას/ცვლილებები შეიტანოს არსებულ მშენებლობის ნებართვაში.

3.8. მყიდველი თანხმობას აცხადებს რომ გამყიდველმა მოახდინოს ბლოკ „ც“-ში და კომპლექსის სხვა ბლოკებში განშლილი ფართების ხელახალი კორექტირებული განშლა, ცვლილებები შეიტანოს პირველად განშლაში (მათ შორის იმ ფართებში რომელიც განშლის შედეგად ჯერ არ არიან რეგისტრირებული საჯარო რეესტრში), მოახდინოს კომპლექსის ფართების ცვლილებების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, განახორციელოს ხელახალი განშლა კორექტირებული პროექტის შესაბამისად, მათ შორის მაგრამ არა მხოლოდ განახორციელოს საკადასტრო ერთეულების 01.18.04.018.067.01.02.040 და 01.18.04.018.067.01.02.041 კორექტირება რათა ბინა დარეგისტრირდეს დანართი N 1-ის შესაბამისად რის შედეგადაც გაერთიანებული ბინა დარეგისტრირდება ერთ საკადასტრო ერთეულად. მუნიციპალურ ადმინისტრაციულ ორგანოებში ან/და საჯარო რეესტრში წარდგენის მიზნით მყიდველი გასცემს წერილობით თანხმობას ბინის კორექტირებასთან დაკავშირებით (მათ შორის დამტკიცებული არქიტექტურულ პროექტში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, მშენებლობის ნებართვის ცვლილებასთან დაკავშირებით).

3.9. ხელშეკრულების 3.7-3.8 მუხლების შესაბამისად ბლოკი „ც“-ს და კომპლექსის სხვა ფართების ხელახალი განშლის ან/და პროექტის კორექტირების/ცვლილების შედეგად არ უნდა შეიცვალოს ავტოსადგომების და დანართი N 1-ით გათვალისწინებული ბინის მდებარეობა, ხედი, დანართში მოცემული კონფიგურაცია. გაერთიანებული ბინა შესაბამისობაში უნდა იყოს დანართი N 1-ში მოცემულ ნახაზთან.

3.10. იმ შემთხვევაში თუ გამყიდველი ამ ხელშეკრულების შესაბამისად ვერ უზრუნველყოფს ბინის კორექტირებას, მაშინ მყიდველი უფლებამოსილია დაუყოვნებლივ მოშალოს ეს ხელშეკრულება რის შედეგადაც აღდგება პირველადი მდგომარეობა, გამყიდველი ვალდებული იქნება დაუბრუნოს მყიდველს გადახდილი ნასყიდობის ღირებულება ხელშეკრულების მოშლიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, ხოლო გამყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო ნასყიდობის საგნის ღირებულების 0.01% -ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ნასყიდობის ღირებულების თანხის მყიდველისთვის სრულად დაბრუნებამდე

3.11. გამყიდველი ვალდებულია ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში დაასრულოს ბლოკი „ც“-ს მშენებლობა რის შედეგადაც მყიდველისთვის ნასყიდობის საგნის გადაცემის მომენტისათვის ნასყიდობის საგანი უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე ხელშეკრულებითა განსაზღვრულ პირობებს.

3.12. მყიდველს საკუთრებაში გადაეცემა ნასყიდობის საგანი და შესაბამისი წილი ბლოკი „ც“-ს საერთო საკუთრებაში. მყიდველისთვის ცნობილია რომ მიწის ნაკვეთი N 2-ის ტერიტორიაზე გამყიდველი ახორციელებს ბლოკები „ა“-ს და „ბ“-ს მშენებლობას. მხარეები თანხმდებიან რომ არც ამ ხელშეკრულებით, არც ნასყიდობის საგანზე მყიდველი მესაკუთრედ რეგისტრაციით მყიდველს არ წარმოეშობა არავითარი უფლება (საერთო საკუთრება, სარგებლობის უფლება, ნებისმიერი სხვა უფლება, სახელშეკრულებო უფლება და ასე შემდეგ) მიწის ნაკვეთ N 2-ზე და ბლოკ „ა“-ზე და ბლოკ „ბ“-ზე.

3.13. ამ ხელშეკრულებას დანართის სახით ერთვის აზომვითი ნახაზი რომელშიც მოცემულია მიწის ნაკვეთი N 1-სა და მიწის ნაკვეთი N 2-ის, ასევე ბლოკი „ც“-ს, ბლოკების „ა“ და „ბ“-ს კონფიგურაცია,

ნახაზები, საზღვრები და ასე შემდეგ. მყიდველი გაცნობილია აღნიშნულ დანართს და მისთვის სრულად მისაღებია აღნიშნული დანართი.

4. ნასყიდობის პირობები

4.1. ნასყიდობის საგნის მახასიათებლები განსაზღვრულია დანართ 1-ში. დანართი N 1 ასევე შეიცავს ბინის ნახაზს რომლის შესაბამისადაც უნდა დარეგისტრირდეს გაერთიანებული ბინა საჯარო რეესტრში ცალკე საკადასტრო ერთეულად.

4.2. ნასყიდობის საგანის აშენება და ხელშეკრულებით განსაზღვრულ მდგომარეობაში მოყვანა და მყიდველის საკუთრებაში გადაცემა განხორციელდება გამყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში და პირობებით.

4.3. ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობებითა და ვადაში გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს საკუთრებაში ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნასყიდობის საგანი.

4.4. ნივთობრივად უნაკლო ქონებაში იგულისხმება რომ ნასყიდობის საგნის მყიდველის მფლობელობაში გადაცემისას ნასყიდობის საგანი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების დანართი № 2-ში განსაზღვრულ პირობებს.

4.5. უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში იგულისხმება ნასყიდობის საგანი არ იქნება დატვირთული იპოთეკით, არ იქნება დაყადაღებული, ნასყიდობის საგანზე არ იქნება რეგისტრირებული კერძო ან/და სხვა საჯარო სამართლებრივი შეზღუდვა, მესამე პირს არ იქნება უფლება წაუყენოს მოთხოვნები მყიდველს ნასყიდობის საგანთან მიმართებაში, ასევე ნასყიდობის საგანზე არ იქნება მიმდინარე დავები. ეს ხელშეკრულება ჩაბარდება საჯარო რეესტრში და გამყიდველი ვალდებულია ამ ხელშეკრულების 3.3 მუხლის შესაბამისად (მათ შორის ამ მუხლიდ დადგენილ ვადაში) უზრუნველყოს უფლებრივად უნაკლო ნასყიდობის საგნის რეგისტრაცია მყიდველის საკუთრებაში.

4.6. გამყიდველი არ არის უფლებამოსილი შეცვალოს კომპლექსის იერსახე მყიდველის თანხმობის გარეშე.

4.7. მყიდველისთვის ცნობილია რომ გამყიდველმა შესაძლოა ცვლილებები შეიტანოს როგორც ბლოკი „ც“-ს, ასევე მთლიანად კომპლექსის დამტკიცებული არქიტექტურულ პროექტში და ადმინისტრაციულ ორგანოსთან შეათანხმოს განახლებული პროექტი, ცვლილებები შეიტანოს მშენებლობის ნებართვაში (მათ შორის ამ ხელშეკრულების თარიღისთვის ადმინისტრაციულ ორგანოში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შემდეგ ცვლილებები შეიტანოს შეთანხმებულ პროექტში, მშენებლობის ნებართვაში, გრგ-ში და ასე შემდეგ). მყიდველს აღნიშნულთან დაკავშირებით არავითარი პრეტენზია არ გააჩნია და საჭიროების შემთხვევაში გასცემს სათანადოდ დამოწმებულ დამატებით წერილობით თანხმობას აღნიშნულ ცვლილებებზე. მიუხედავად აღნიშნულისა კომპლექსის იერსახის ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მყიდველის თანხმობით. ამასთანავე, მხარეები თანხმდებიან რომ ზემოაღნიშნული ცვლილებებით (ა) არ შეიცვლება ბლოკი „ც“-ს ხედები, განლაგება; (ბ) მიწის ნაკვეთ N 1-ზე არ მოხდება დამატებითი შენობა-ნაგებობის მშენებლობას; (გ) აღნიშნულ ცვლილებები არ შეცვლიან ბინის მდებარეობას, ხედებს, კონფიგურაციას; (დ) არ შეამცირებს მიწის ნაკვეთი N 1-ის ეზოს ფართობს; (ე) ავტოსადგომებთან მისასვლელ გზას.

4.8. მყიდველი თანახმაა გამყიდველმა საკუთარი შეხედულებისამებრ და საჭიროებისამებრ განახორციელოს ყველა იურიდიული პროცედურა როგორც ბლოკი „ც“-ს, ასევე მთლიანად კომპლექსის ყველა ეტაპის მშენებლობასთან დაკავშირებით და/ან ექსპლუატაციაში მიღების მიზნით, მათ შორის: საკუთარი შეხედულებისამებრ და საჭიროებისამებრ განახორციელოს ნებისმიერი სახის ცვლილება, კორექტირება კომპლექსის (როგორც ბლოკი „ც“-ს, ასევე მთლიანად კომპლექსის) განაშენიანების გეგმის გეგმარებით დავალებაში, განაშენიანების რეგულირების გეგმაში, შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტსა და მშენებლობის ნებართვაში (სამშენებლო/საპროექტო დოკუმენტაციაში) და სხვა სამშენებლო, საპროექტო დოკუმენტაციაში. აღნიშნული ასევე გულისხმობს მყიდველის თანხმობას კომპლექსის მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლის გამო მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელებაზე, თანხმობას ახალი ნებართვის აღებასა და ყველა იმ იურიდიული, თუ ტექნიკური პროცედურის თაობაზე, რაც აუცილებელია

კომპლექსის (როგორც ბლოკი „ც“-ს, ასევე მთლიანად კომპლექსის) მშენებლობის განსახორციელებლად, დასასრულებლად და ექსპლუატაციაში მისაღებად.

4.9. მყიდველს უფლება არ აქვს ხელჰყოს კომპლექსში მდებარე სხვა ფართების მესაკუთრეების კანონიერი უფლებები, უკანონოდ მიისაკუთროს ან/და ისარგებლოს მესამე პირთა და/ან გამყიდველის საკუთრებით ან მისი ნაწილით, ან ააშენოს სასაზღვრო მიჯნა ან სხვა ნაგებობა.

4.10. მყიდველს უფლება არ აქვს განახორციელოს ბლოკი „ც“-ს ან/და კომპლექსის საერთო საკუთრების ქონების გამიჯვნა და ინდივიდუალურ საკუთრებად რეგისტრაცია, ან მისი ნასყიდობის საგანთან მიერთება. მყიდველს ასევე უფლება არ აქვს გასცეს თანხმობა მესამე პირზე ასეთი ქონების გამიჯვნის, ფლობის, მის საკუთრებაში რეგისტრაციის, ან მესამე პირის მიერ საერთო ქონების ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებულ ფართთან მიერთებაზე.

4.11. მყიდველს არანაირი სანივთო თუ სხვა სახის უფლება არ აქვს ბლოკი „ბ“-სა და ბლოკი „ა“-ს დაკავშირებით (მათ შორის მიწის ნაკვეთი N 2-თან მიმართებით).

5. მშენებლობის დასრულება და ნასყიდობის საგნის მფლობელობაში გადაცემა

5.1. გამყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს ბლოკი „ც“-ს მშენებლობის დასრულება და ექსპლუატაციაში მიღება ხელშეკრულების დანართი N 3-ში განსაზღვრულ ვადაში. გამყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს ბლოკი „ა“-ს და ბლოკი „ბ“-ს მშენებლობის დასრულება დანართი N 3-ით დადგენილ ვადებში.

5.2. ნასყიდობის საგნის მყიდველის მფლობელობაში გადაცემის ვადა განსაზღვრულია ხელშეკრულების დანართ N 3-ში. ნასყიდობის საგნის მყიდველის მფლობელობაში გადაცემამდე გამყიდველი ვალდებულია მოახდინოს გაერთიანებული ბინის ერთ საკადასტრო კოდად რეგისტრაცია საჯარო რეესტრში ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად.

5.3. ხელშეკრულების შესაბამისად ნასყიდობის საგნის მყიდველის მფლობელობაში გადაცემისას მყიდველზე გადადის ნასყიდობის საგნის დაზიანების ან/და დაღუპვის რისკი გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც ნასყიდობის საგნის დაზიანება ან/და დაღუპვა გამოწვეული იქნება გამყიდველის ან/და მისი რომელიმე კონტრაქტორის მიერ (მშენებელი კომპანია და ასე შემდეგ).

5.4. გამყიდველი მყიდველს მფლობელობაში გადასცემს ნასყიდობის საგანს ხელშეკრულების დანართი N 2–ში მითითებულ მდგომარეობაში.

5.5. ნასყიდობის საგნის გადაცემის ადგილია მისი ადგილსამყოფელი.

5.6. მყიდველი უფლებამოსილია შევიდეს ბლოკი „ც“-ს ტერიტორიაზე ნასყიდობის საგნის დათვალიერების მიზნით იმ პირობით რომ მყიდველი დაიცავს სამშენებლო ობიექტზე მოქმედ უსაფრთხოების წესებს.

5.7. ნასყიდობის საგნის მყიდველის მფლობელობაში გადაცემა განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის (**ოქმი**) გაფორმებით, რომელსაც ხელს აწერს მყიდველი და გამყიდველი. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერასთან ერთად მყიდველს გადაეცემა ბინის ორი გასაღები. ოქმზე ხელმოწერით მყიდველი ადასტურებს წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N 3-ით განსაზღვრულ პირობებთან/მდგომარეობასთან ნასყიდობის საგნის შესაბამისობას და ხელმოწერის შემდეგ მყიდველს არ აქვს გამყიდველისთვის ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე რაიმე პრეტენზიის წაყენების უფლება დაკავშირებული ნასყიდობის საგნის ხარისხთან, რაოდენობასთან, ნასყიდობის საგნის მახასიათებლებთან შესაბამისობასთან დაკავშირებით გარდა ფარული ნაკლისა რომლის აღმოჩენა ვერ მოხდა ოქმის გაფორმებისას.

5.8. ოქმის ხელმოწერის შემდეგ მყიდველზე გადადის ნასყიდობის საგნის დაზიანების ან/და დაღუპვის რისკი გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც ნასყიდობის საგნის დაზიანება ან/და დაღუპვა გამოწვეული იქნება გამყიდველის ან/და მისი რომელიმე კონტრაქტორი მიერ (მშენებელი კომპანია და ასე შემდეგ). იმ შემთხვევაში თუ ნასყიდობის საგნის მფლობელობაში გადაცემისას მხარეები ორმხრივად შეთანხმდებიან ან კანონით დადგენილი წესით დადგინდება, რომ ნასყიდობის საგნის აქვს ნაკლი, მხარეები შეადგენენ დეფექტის შესახებ აქტს, სადაც ასახავენ ნასყიდობის საგნის ხელშეკრულებაში აღნიშნულ მდგომარეობამდე მისაყვანი დარჩენილი სამუშაოების ჩამონათვალს და ვადებს. ასეთი სამუშაოების ჯეროვნად შესრულების შემდეგ, მხარეები შეადგენენ მიღება–ჩაბარების აქტს. გამყიდველმა საკუთარი ხარჯით უნდა აღმოფხვრას ნაკლი.

5.9. მხარეები თანხმდებიან რომ ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, მყიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს გამყიდველს და გამყიდველი ვალდებულია საკუთარი ხარჯით გამოასწროს ნაკლი.

5.10. ნასყიდობის საგნის მყიდველის მფლობელობაში გადაცემა არ აძლევს უფლებას მყიდველს მფლობელობაში მიღებული ბინა გამოიყენოს საცხოვრებლად ან/და ავტოსადგომი დანიშნულებისამებრ. ბინის მფლობელობაში მიღების შემდეგ მყიდველი უფლებამოსილია მხოლოდ განახორციელოს ბინის სარემონტო სამუშაოები, ხოლო ბინის საცხოვრებლად გამოყენება და/ან ავტოსადგომის დანიშნულებისამებრ გამოყენება მყიდველს შეუძლია მხოლოდ ბლოკი „ც"-ს ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ.

5.11. მხარეები თანხმდებიან, რომ ბინის ჯამური ფართი დაანგარიშდება კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთანავე, მხარეები თანხმდებიან ჯამური ფართში გათვალისწინებული იქნება შიდა ტიხრების ფართი, ხოლო კოლონებისა და შახტების ფართი არ ჩაითვლება ფართის დაანგარიშებაში.

5.12. მხარეები თანხმდებიან, რომ სამშენებლო სამუშაოების წარმოების შედეგად ტექნიკური მიზეზების გამო და მშენებლობის დარგში არსებული სტანდარტების გათვალისწინებით და/ან განახლებული პროექტის შეთანხმების შედეგად შესაძლებელია ბინის საერთო ფართის 3%–ის ფარგლებში ცვლილება (მეტობა ან ნაკლებობა) განიცადოს ბინის ფართის ოდენობამ. ხელშეკრულების მხარეები ადასტურებენ, რომ ასეთ შემთხვევაში არანაირი პრეტენზია არ ექნებათ ერთმანეთის მიმართ და მშენებლობის დასრულებისას ამ ოდენობით ბინის მოცულობის ცვლილება არ გამოიწვევს არანაირ ურთიერთვალდებულებებს (თანხის დამატება ან/და თანხის დაბრუნება).

5.13. მხარეები ასევე თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში, თუ ბინის ფართის ცდომილება იქნება საერთო ფართის 3%–ზე მეტი, მოხდება ნასყიდობის ღირებულების კორექტირება ბინის ფაქტობრივი ფართიდან (გაზრდილი, ან შემცირებული) გამომდინარე. ამ მუხლის შესაბამისად ნასყიდობის ღირებულების კორექტირების მიზნისთვის ერთი კვადრატული მეტრი ბინის ნასყიდობის ღირებულების დაანგარიშებისთვის ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ბინის ჯამური ღირებულება იქნება 4,600 აშშ დოლარი ცდომილების ერთ კვადრატულ მეტრზე. ნასყიდობის ღირებულების შეცვლილ ოდენობის თანხის გადახდა (მყიდველის მიერ გაზრდილი თანხის გადახდა ფართის გაზრდის შემთხვევაში ან გამყიდველის მიერ შემცირების თანხის მყიდველისთვის დაბრუნება ფართის შემცირების შემთხვევაში) მოხდება ბინის ფართის დაზუსტებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში.

5.14. მყიდველს არ აქვს უფლება ცვლილებები შეიტანოს მზიდ კონსტრუქციებში ან/და დაგეგმარების ნახაზში შეიტანოს ისეთი ცვლილებები/დამატებები რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ბლოკი „ც"-ს ან/და ბინის კონსტრუქციულ მდგრადობას ან/და გამოიწვიოს შეუსაბამოს მაღალი ხარჯები გამყიდველისთვის.

5.15. მყიდველმა უნდა დაიწყოს ბინაში სარემონტო სამუშაოების შესრულება ბინის მყიდველის მფლობელობაში გადაცემის შემდეგ. ამასთანავე, მყიდველი გამყიდველის წერილობითი თანხმობით უფლებამოსილია დაიწყოს ბინის სარემონტო სამუშაოები მხოლოდ შემდეგი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში:

(i) მყიდველი წინასწარ წერილობით მიაწვდის გამყიდველს ინფორმაციას სარემონტო სამუშაოების ვადებზე, ასევე სარემონტო სამუშაოების განმახორციელებელი პირების შესახებ (იურიდიული პირის შემთხვევაში მის სარეგისტრაციო რეკვიზიტებს და საკონტაქტო მონაცემებს (ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი), ხოლო ფიზიკური პირების ან/და ინდივიდუალური მეწარმის შემთხვევაში მის სახელს, გვარს, პირად ნომერს, მისამართს და საკონტაქტო ინფორმაციას);

(ii) მყიდველი კანონმდებლობით დადგენილი წესით იკისრებს სოლიდარულ ვალდებულებას შემდეგ ვალდებულებებზე: (ა) სარემონტო სამუშაოების შესრულებისას შემსრულებელი პირების მიერ შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის დაცვაზე; (ბ) ბინაში სარემონტო სამუშაოების შესრულების ფარგლებში სარემონტო სამუშაოების შემსრულებელი პირების მიერ გამყიდველის ან მესამე პირის ქონებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

5.16. მყიდველი ვალდებულია სარემონტო სამუშაოები აწარმოოს კანონმდებლობით დაშვებულ დროის მონაკვეთებში.

5.17. მყიდველი ვალდებულია სარემონტო მასალების კომპლექსის ნებისმიერი ნაწილის ტერიტორიაზე ნებისმიერი გადაადგილების თაობაზე წინასწარ შეატყობინოს გამყიდველის წარმომადგენელს რომელიც თავის მხრივ, მონიტორინგს გაუწევს სარემონტო მასალების გადაადგილების პროცესს.

5.18. გამყიდველი უფლებამოსილია გამოიხმოს სარემონტო სამუშაოების განხორციელებაზე გაცემული წერილობითი თანხმობა და მოითხოვოს აღნიშნული სამუშაოების დაუყონებლივ შეწყვეტა იმ შემთხვევაში თუ გამყიდველი მიიჩნევს რომ მყიდველის დავალებით სარემონტო სამუშაოების განმახორციელებელი პირები ვერ აკმაყოფილებენ ან ვერ დააკმაყოფილებენ კანონმდებლობით დადგენილ შრომის უსაფრთხოებისა და ჯამრთელობის დაცვის მოთხოვნებს ან/და ამ პირების მიერ სარემონტო სამუშაოების განხორციელების შედეგად საფრთხე ექმნება ასევე კომპლექსის ტერიტორიაზე სხვა პირების ქონებას ან/და გამყიდველის ქონებას ან/და კომპლექსის ტერიტორიაზე მყოფ სხვა პირების ჯამრთელობას.

5.19. მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში ბინის სარემონტო სამუშაოები შეასრულებს გამყიდველის კონტრაქტორი. გამყიდველი და მყიდველი ცალკე შეთანხმდებიან სარემონტო სამუშაოების შესრულების პირობებზე (მათ შორის ანაზღაურების პირობებზე).

5.20. მყიდველმა უნდა უზრუნველყოს ბინის სარემონტო სამუშაოების განხორციელება და დასრულება ბინის მყიდველის მფლობელობაში გადაცემიდან 240 (ორას ორმოცი) სამუშაო დღის ვადაში. ამასთანავე, მყიდველი ვალდებულია სარემონტო სამუშაოების დაიწყოს გამყიდველის შეტყობინებაში მითითებულ ვადაში.

6. მხარეთა დამატებითი სპეციფიკური ვალდებულებები

6.1. მყიდველი ხელს მოაწერს მომსახურების ხელშეკრულებას მმართველთან ბლოკი „ც“-ს საერთო ქონების მომსახურებაზე. მყიდველი ადასტურებს რომ გაეცნო მომსახურების ხელშეკრულების დრაფტს და თანახმაა მოაწეროს ხელი მომსახურების ხელშეკრულების აღნიშნულ ვერსიას.

6.2. ნასყიდობის საგნის მყიდველის სახელზე აღრიცხვის შემდეგ გამყიდველის მოთხოვნის ერთად მყიდველი ვალდებულია გაწევრიანდეს ბლოკი „ც“-ს ამხანაგობაში კანონმდებლობის შესაბამისად.

6.3. ბლოკი „ც“-ს ის ნაწილი, რომელიც არ წარმოადგენს ინდივიდუალურ საკუთრებას და განკუთვნილია ბლოკი „ც“-ს შემადგენელი უძრავი ქონების ყველა მესაკუთრისთვის წარმოადგენს ბლოკი „ც“-ს შემადგენელი უძრავი ქონების მესაკუთრეთა საერთო საკუთრებას.

6.4. მყიდველი ვალდებულია გაუფრთხილდეს ბლოკი „ც“-ს და კომპლექსის საერთო საკუთრებას. მყიდველი ვალდებულია ბლოკი „ც“-ს საერთო ქონების განკარგვაში, ასევე მოვა-პატრონობაში მიიღოს მონაწილეობა ამ ხელშეკრულების, მომსახურების ხელშეკრულების, ამხანაგობის წესდებისა და კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

6.5. მყიდველი ვალდებულია შეინარჩუნოს და არ მოახდინოს ბინის ან/და ბლოკი „ც’-ს გარე ფასადის, საერთო საკუთრების ფართის ან/და ბლოკ „ც“-ში არსებული ნებისმიერი სხვა ტერიტორიის, შენობა-ნაგებობისა ან/და სხვა ქონების არავითარი ცვლილება. ამ მუხლის მიზნებისთვის ცვლილება მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: (ა) ფერის ცვლილება, შეღებვა; (ბ) გამოჯვნა; (გ) მიერთება; (დ) გადაკეთება, ნებისმიერი კონსტრუქციის/ნაგებობის აშენება, მიშენება, დაშენება, ამოშენება; (ა) მცენარეების მოჭრა ან/და დარგვა, გადარგვა; (ვ) ელექტრო, საკომუნიკაციო და სხვა გაყვანილობების გაყვანა; (ზ) შუშაბანდების ჩაშენება; (თ) გისოსების, ჟალუზების და სხვა მსგავსი კონსტრუქციების მონტაჟი; (ი) სარეცხის გასაფენი კონსტრუქციის მონტაჟი; სარეცხი თოკების გასაბმელის დამონტაჟება; (კ) კონდიცირების და/ან გათბობის დანადგარის მონტაჟი; (მ) აივნების და მოაჯირების ცვლილება; (ნ) სადარბაზოს წყობის ცვლილება; (ო) ბინის შესასვლელი კარის ცვლილება; (პ) იერსახის ნებისმიერი სხვა ცვლილება.

6.6. მყიდველის მიერ ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებებისა და ვალდებულებების მესამე პისთვის გადაცემის ან ნასყიდობის საგნის ან მისი ნაწილის გასხვისების შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს ასეთი მესამე პირის ან მყიდველის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ვალდებულების უპირობოდ შესრულება, ყველა საჭირო დოკუმენტის ხელმოწერის გზით, მათ შორის და არა მხოლოდ: (ა) ახალი მყიდველის ამხანაგობაში

გაწევირიანება; (ბ) მომსახურების ხელშეკრულების ხელმოწერა; (გ) ამ ხელშეკრულების 6.4-6.5 მუხლებით დადგენილი პირობების შესრულება.

6.7. მყიდველის მიერ ხელშეკრულების 6.4.-6.6 მუხლებით განსაზღვრული ნებისმიერი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია გამყიდველის შეხედულებისამებრ და გამყიდველის მოთხოვნის შესაბამისად აღადგინოს პირვანდელი მდგომარეობა თავისი ხარჯებით გამყიდველის მოთხოვნიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში თუ გამყიდველი სხვა ვადას არ დააწესებს ან გამყიდველი საკუთარი შეხედულებისამებრ თავისი მუშა-ხელით აღადგენს პირვანდელ მდგომარეობას და მყიდველი აუნაზღაურებს მას შესაბამის ხარჯებს.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

7.2. მყიდველის მიერ ამ ხელშეკრულებით დადგენილი ანგარიშსწორების ვალდებულების 30 (ოცდაათი) სამუშაო დღეზე მეტი ვადით დარღვევის შემთხვევაში, გამყიდველი უფლებამოსილი იქნება მოშალოს ხელშეკრულება რა დროსაც მხარეებს შორის აღდგება პირვანდელი მდგომარეობა.

7.3. იმ შემთხვევაში თუ გამყიდველი ვერ უზრუნველყოფს ბლოკი „ც“-ს ექსპლუატაციაში მიღებას ხელშეკრულებით დადგენილი დამატებითი ევს თვიანი ვადის გასვლის შემდეგ, მყიდველი უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება რა დროსაც მოხდება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა. ასეთ შემთხვევაში მყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს გამყიდველს და ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში, გამყიდველი ვალდებულია მყიდველს გადაუხადოს მყიდველს პირგასამტეხლო ვადაგადაცილების ყოველ სრულ თვეზე ნასყიდობის საგნის ღირებულების 0.01% -ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს ნასყიდობის საგნის ღირებულების 5 (ხუთი)%-სა და ასევე აუნაზღაუროს ფაქტობრივი ხარჯები და ზიანი. ამ მუხლის მიზნებისთვის მყიდველისთვის მიყენებული ზიანად მიიჩნევა ნასყიდობის საგნის გაქირავების საბაზრო ქირის ოდენობა. ზიანის დაანგარიშების მიზნისთვის საბაზრო ქირის ოდენობის დარიცხვა მოხდება ხელშეკრულებით ბლოკი „ც“-ს ექსპლუატაციაში მიღების თარიღიდან ნასყიდობის ღირებულების თანხის მყიდველისთვის სრულად გადახდამდე პერიოდზე.

7.4. გამყიდველის მიერ ბლოკი „ა“-ს ან/და ბლოკი „ბ“ მშენებლობის დასრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში გამყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო ნასყიდობის საგნის ღირებულების 0.01% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მაგრამ არაუგვიანეს ნასყიდობის ჯამური ღირებულების 5%-სა.

7.5. ხელშეკრულების შეწყვეტა არ აუქმებს მხარეთა ვალდებულებას გადაიხადონ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლო.

7.6. გამყიდველი პასუხს აგებს მყიდველის წინაშე ნასყიდობის საგნის შესაბამისობაზე ხელშეკრულებით დადგენილ მოთხოვნებთან.

7.7. გამყიდველი პასუხის არ აგებს:

(i) მყიდველის მიერ კომპლექსის ტერიტორიაზე უნებართვოდ განთავსებული ქონების (მიუხედავად იმისა თუ ვის მფლობელობაში იმყოფება ქონება) დაზიანებაზე, დაკარგვაზე ან განადგურებაზე;

(ii) იმ შესაძლო ზიანზე რაც შეიძლება მიადგეს მყიდველს ან მყიდველის თანხმლებ მესამე პირს კომპლექსის ტერიტორიაზე (მათ შორის სამშენებლო მოედანზე) უნებართვოდ ყოფნისას.

7.8. ხელშეკრულების თითოეული მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ფაქტობრივი ზიანი, რაც გამოწვეულია ამ ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის სრულად ან/და ნაწილობრივ შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულებით. ზიანის ანაზღაურება არ ათავისუფლებს მხარეს ამ ხელშეკრულებით ან/და

მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.9. ხელშეკრულების არცერთი მხარე არ არის პასუხისმგებელი მეორე მხარის წინაშე არაპირდაპირ ზიანზე (მიუღებელი შემოსავალი და სხვა).

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული ან/და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის თუ ეს გამოწვეულია ფორს მაჟორით. ფორს მაჟორს მიეკუთვნება გარემოება ან/და მოვლენა რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომლის გამოც მხარე ვერ ასრულებს ან/და ჯეროვნად ვერ ასრულებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებას, მათ შორის მაგრამ არა მხოლოდ: წყალდიდობა, მიწისძვრა, ომი და საომარი მოქმედებები, სამთავრობო ორგანოების მოქმედება, დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების მიღებასა და ცვლილებებთან და სხვა გარემოებები რომლებიც შეუძლებელს ხდიან მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. ფორს-მაჟორულ გარემოებად ითვლება ასევე სამშენებლო სამუშაოებზე მორატორიუმის გამოცხადება.

8.2. თუ ნებისმიერმა ზემოთ ნახსენებმა გარემოებებმა უშუალოდ იმოქმედეს მხარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროის თანაბარზომიერად გაიზრდება.

8.3. მხარემ, რომლისთვისაც ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ ყველა შემთხვევაში არაუგვიანეს ხუთი დღისა ამ გარემოებების დადგომიდან და დასრულებიდან, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს. შეტყობინება სავალდებულო არ არის თუ ფორს-მაჟორული გარემოება საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია.

8.4. შეუტყობინებლობის და დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში მხარე კარგავს უფლებას, დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს.

8.5. შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.

8.6. იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორი გრძელდება 2 (ორი) თვეზე მეტ ხანს, მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ ხელშეკრულების ბედი. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, დავას განიხილავს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. კომუნიკაცია მხარეთა შორის

9.1. მხარისათვის გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინება მას შეიძლება მიეწოდოს პირადად ან გაეგზავნოს კურიერის (მათ შორის, საერთაშორისო კურიერის) ან საფოსტო გზავნილის (მათ შორის, დაზღვეული წერილის) საშუალებით. ოპერატიულობის მიზნით და ქვემოთ მოცემული დებულებების გათვალისწინებით, დასაშვებია მეორე მხარისათვის შეტყობინების მიწოდება ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

9.2. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია ადრესატის მიერ (მათ შორის, ელექტრონული დოკუმენტით, ქვითრით, შეტყობინების შესაბამისი სხვა საშუალებით და ა.შ.).

9.3. შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ მხარეს შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემებზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე, ან თავს აარიდებს მის მიღებას. ასეთ შემთხვევაში შეტყობინება ჩაბარებულად

ითვლება საფოსტო გზავნილზე მითითებულ თარიღში (თარიღი როდესაც შეტყობინება მიტანილი იქნა მხარის მისამართზე მიუხედავად იმისა რომ არ მოხდა მისი ჩაბარება).

9.4. ამ ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის ფარგლებში მხარეებს შორის კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების პირველ მუხლში განსაზღვრულ მისამართებზე.

9.5. მხარე ვალდებულია აღნიშნული მისამართ(ებ)ის ან მათი რომელიმე მონაცემის ცვლილების შესახებ დროულად აცნობოს მეორე მხარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარის მიერ აღნიშნულ მისამართზე განხორციელებული ურთიერთობა (შეტყობინების გაგზავნა და სხვა) ჩაითვლება ჯეროვნად შესრულებულად.

10. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტის წესი

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა ან/და უთანხმოება (მათ შორის მის ინტერპრეტაციასთან, დარღვევასთან, აღსრულებასთან დაკავშირებით და ასე შემდეგ) გადაწყდება მხარეებს შორის მოლაპარაკების გზით.

10.3. იმ შემთხვევაში თუ დავის ან/და უთანხმოების გადაწყვეტა ვერ მოხდება მოლაპარაკების გზით, მხარეები მიმართავენ საქართველოს საერთო სასამართლოებს განსჯადობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედება

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

11.2. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა დასაშვებია ქვემოთ მითითებული საფუძვლებით:

12.2.1. მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;

12.2.2. მყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება გამყიდველისთვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

(i) ბლოკი „ც“-ს ექსპლუატაციაში მიღების ვადის (ხელშეკრულების შესაბამისად გაგრძელებული ვადის) დარღვევის შემთხვევაში;

(ii) გამყიდველის მიერ მყიდველისთვის ნასყიდობის საგნის მფლობელობაში (გაგრძელებული ვადის) ან/და საკუთრებაში გადაცემის 60 (სამოცი) სამუშაო დღეზე მეტით დაგვიანების შემთხვევაში;

(iii) გამყიდველი ვერ უზრუნველყოფს ბინის მყიდველისთვის გადაცემას წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ მდგომარეობაში და გონივრულ ვადაში ვერ აღმოფხვრის აღნიშნულ შეუსაბამობას.

12.2.3. მხარეებს უფლება აქვთ მოშალონ ეს ხელშეკრულება ამავე ხელშეკრულებით დადგენილ სხვა შემთხვევებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

11.3. მყიდველის მიერ ხელშეკრულების 11.2.2 მუხლით დადგენილი რომელიმე საფუძვლით ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, მყიდველს არ დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისთვის და ხელშეკრულების შეწყვეტიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში ვადაში სრულად დაუბრუნდება გადახდილი ნასყიდობის ფასი.

11.4. ხელშეკრულების 11.2.2 მუხლში განსაზღვრული ნებისმიერი საფუძვლით ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, მხარეებს შორის აღდგება პრივანდელი მდგომარეობა.

12. ხარჯები

12.1. ნასყიდობის ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის, სანოტარო წესით დამოწმების და გადაიხდის გამყიდველი.

13. დასკვნითი დებულებები

13.1. მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

13.2. ხელშეკრულება წარმოადგენს მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების საგნის თაობაზე მიღწეულ სრულ შეთანხმებას. ხელშეკრულება ანაცვლებს მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების გაფორმებამდე არსებულ ნებისმიერ და ყველა შეთანხმებას, ხელშეკრულებას, ვალდებულებას თუ განაცხადს ამ ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით და აქვს უპირატესი ძალა მათთან შედარებით.

13.3. ხელშეკრულების რომელიმე დებულების ან დებულებების ბათილად, უკანონოდ ან ძალადაკარგულად ცნობა ზეგავლენას არ იქონიებს ხელშეკრულების ან მისი სხვა დებულებების ნამდვილობაზე, კანონიერებაზე ან მოქმედებაზე. ნებისმიერი მხარის მოთხოვნის საფუძველზე მსგავსი ბათილი, ძალადაკარგული ან აღუსრულებელი დებულება ჩანაცვლდება სხვა, ხელშეკრულების მიზანთან შესაბამისობაში მყოფი დებულებით.

13.4. ნებისმიერი და ყოველი უფლება, რომელიც მიენიჭება მხარეს მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების, მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის ან/და კანონმდებლობის სრულად ან ნაწილობრივ დარღვევის შედეგად, კრებითია და დაემატება ხელშეკრულებით, მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით ან/და კანონმდებლობით მინიჭებულ ყველა სხვა უფლებას.

13.5. ერთ-ერთი მხარის მხრიდან ხელშეკრულების, მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის ან/და კანონმდებლობის სრულად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით მეორე მხარის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება ხელშეკრულების, მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის ან/და კანონმდებლობის ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე.

13.6. ხელშეკრულებაში ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ში მხოლობით რიცხვში გამოყენებული სიტყვები გულისხმობს მრავლობითს და პირიქით.

13.7. ხელშეკრულების მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს ხელშეკრულების ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება.

13.8. მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების დებულებ(ებ)ის არსებობა/არარსებობასთან, მათ შინაარსთან, განმარტებასთან ან/და განხორციელებასთან დაკავშირებით მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება გამყიდველთან დაცულ ეგზემპლარს. ამასთან, ამ უკანასკნელ დებულებასთან მიმართებით ყოველგვარი ეჭვის ან/და დავის გამორიცხვის მიზნით, მყიდველი ვალდებულია ხელი მოაწეროს ხელშეკრულების და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის (მათი დანართ(ებ)ის ჩათვლით) გამყიდველთან დაცული ეგზემპლარის თითოეულ გვერდს, მაგრამ მყიდველის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობა არ ხდის ამ პუნქტით გათვალისწინებულ დებულებას საეჭვოს ან სადავოს.

13.9. ხელშეკრულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეების, თუ მემკვიდრეებისათვის/სამართალმემკვიდრეებისათვის, თუ ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის ან/და მისი/მათი მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის და ქვეპუნქტ(ებ)ის შინაარსის გათვალისწინებით კანონმდებლობა სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

13.10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით ამ ხელშეკრულების ფორმის დაცვით.

13.11. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით, მხარეები იხელმძღვანელებენ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთახმებული პირობებით.

13.12. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ოთხ იდენტურ ეგზემპლარად. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს, ხოლო ერთი ეგზემპლარი ბარდება საჯარო რეესტრს მყიდველის მესაკუთრედ რეგისტრაციისთვის.

13.13. ხელშეკრულების დანართები წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს და განიხილება ხელშეკრულებასთან ერთად. ხელშეკრულებასა და მის დანართებს შორის რაიმე შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ხელშეკრულების პირობებს.

13.14. ხელშეკრულებას თან ახლავს შემდეგი დანართები:

(i) დანართი N 1 - ბინა და მისი მახასიათებლები;

(ii) დანართი N 2 - ბინის მფლობელობაში გადაცემის პირობები;

(iii) დანართი N 3 - გამყიდველი ვალდებულებების შესრულების ვადები

(iv) დანართი 4 - მიწის ნაკვეთი N 1-ს და მიწის ნაკვეთი N 2-ის აზომვითი ნახაზი

ხელმოწერები

გამყიდველი

შპს აპოლო გ.ს. (ს.ნ. 202430468)

დირექტორი: გიორგი ჯანიბეგაშვილი

პირადი ნომერი: 1031003746

მყიდველი

გიორგი ორჯონიკიძე (პ.ნ. 01010000768)

დანართი N 1 - ნასყიდობის საგანი და მისი მახასიათებლები;

1. გამყიდველი ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად მესაკუთრედ დარეგისტრირდება შემდეგ საკადასტრო ერთეულებზე: 01.18.04.018.067.01.02.040 (ბინა 40) და 01.18.04.018.067.01.02.041 (ბინა 41) და ავტოსადგომები: 01.18.04.018.067.01.04.078; 01.18.04.018.067.01.04.080; და 01.18.04.018.067.01.04.082 ;
2. ნასყიდობის საგნის მყიდველის მფლობელობაში გადაცემამდე ხელშეკრულების, მათ შორის ამ დანართში განსაზღვრული მახასიათებლებისა და ნახაზის შესაბამისად გამყიდველი მყიდველის თანხმობით მოახდენს ბინის კორექტირებას, კერძოდ კი გამყიდველი უზრუნველყოფს არქიტექტურული პროექტის კორექტირებას, ბინის კორექტირებას (მათ შორის ფართისა და გეგმარების კორექტირებას) რის შედეგადაც:

2.1. კორექტირებული ბინა უნდა შეესაბამებოდეს ამ დანართზე თანდართულ ნახაზს; და

2.2. კორექტირებული ბინის საერთო ფართად განისაზღვრება: 527.8 კვადრატული მეტრი (საცხოვრებელი ფართი 344.5 კვადრატული მეტრი, ხოლო საზაფხულო კი 183.3 კვადრატული მეტრი).

3. გაერთიანებული ბინის სართული: სართული N 7.
4. მომავალში გაერთიანებული ბინა საჯარო რეესტრში დარეგისტირდება ამ დანართზე თანდართული ნახაზის შესაბამისად. ამ დანართს თან ერთვის გაერთიანებული ბინის ნახაზი. მყიდველი ჯერ რეგისტრირდება მესაკუთრედ ამ ხელშეკრულებაში მითითებულ საკადასტრო კოდებზე და შემდეგ მოხდება ბინების გაერთიანება თანდართული ნახაზის შესაბამისად.

გაერთიანებული ბინის ნახაზი რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ბინების გაერთიანება.

ს-7 სართული

ერთო ფართი 527.8 მ²
საცხოვრებელი ფართი 344.5 მ²
საზაფხულო ფართი 183.3 მ²



დანართი N 2- ბინის მფლობელობაში გადაცემის პირობები

1. მყიდველის მფლობელობაში გადაცემისას ბინები უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ პირობებს:

2. ჭერი გამზადებული სამღებრო სამუშაოებისთვის;
3. მყიდველთან შეთანხმებით ამოყვანილი კედლები გიბსო მასალით, გალესილი -თბულით, გაბათქაშებული და გამზადებული სამღებრო სამუშაოებისთვის;
4. ალუმინის ვიტრაჟები და კარი: ალუმინის ორმაგი მინაპაკეტის კარ-ფანჯრები დაბალემისიური მინით (ალუტეკი).
5. ინდივიდუალური გათბობის კოლექტორული სისტემა, რომელიც მოიცავს გათბობის ქვაბს (იტალიური წარმოების ან მისი ექვივალენტის ხარისხის) და მილებს.
6. ხანძარმდეგი რკინის კარი;
7. სანტექნიკა მიყვანილი მოხმარების წერტილამდე ევროპული წარმოების მილებით და ევროპული წარმოების საიზოლაციო მასალებით;
8. კონდიცირების სპლიტ სისტემა (მილები მიყვანილი დანიშნულების ადგილამდე);
9. ნახშირწყალბადისა და CO დეტექტორი და ელექტრო მაგნიტური გამომრთველით;
10. მოჭიმული იატაკი ხმის და სითბოს იზოლაციით;
11. ევროპული წარმოების ვიდეო და აუდიო დომოფონი;
12. ენერგო ეფექტური ფასადი მოპირკეთებული ბუნებრივი აგურით;
13. სუსტი დენები: ინტერნეტი, ტელევიზია, ტელეფონი (ბუდის ჩასმა, ელექტრო ავტომატების ფარის აწყობა).
14. უსაფრთხოების მიზნით ბინის ელექტროკარადაში მოეწყობა დიფერენციალური დაცვის მოდული.
15. ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა- ევროპული წარმოების დერეფნების კვამლგამწოვი ვენტილაციის სისტემა, კიბის უჯრედის და ლიფტების შახტების ჰაერის დაწნეხვის სისტემა, ხანძარმედეგი საევუაკუაციო კარი, კვამლის და ცეცხლის აღმომჩენი სიგნალიზაციის სისტემა, ხანძარქრობის საშხაპე სისტემა და სახანძრო ჰიდრანტები.
16. მიცუბიშის სამგზავრო ლიფტი
17. წყლის, ელექტროენერგიის ქსელები მიყვანილი ბინამდე. მრიცხველები დაყენებული იმ პირობით რომ აბონენტად რეგისტრაციის და მრიცხველის საფასურს გადაიხდის მყიდველი;
18. პარკინგზე იატაკი მოჭიმული (პრიალა ზედაპირი);
19. ბინის ჭერის სიმაღლე 3.45 (ფილიდან ფილამდე)

20. გამყიდველი იღებს ვალდებულებას პროექტის შესაბამისად უზრუნველყოს ბლოკი „ც“-ს ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები, პროექტის შესაბამისად ბლოკი „ც“-ს საერთო ინფრასტრუქტურის მოწყობა.
21. გამყიდველი იღებს ვალდებულებას პროექტის შესაბამისად უზრუნველყოს ბლოკი „ც“-ს ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები, პროექტის შესაბამისად ბლოკი „ც“-ს საერთო ინფრასტრუქტურის მოწყობა.

დანართი N 3 - გამყიდველი ვალდებულებების შესრულების ვადები

1. მყიდველისთვის ნასყიდობის საგნის მფლობელობაში გადაცემის ვადაა არაუგვიანეს 30/08/2025. გამყიდველს უფლება აქვს ცალმხრივი გადაწყვეტილებით ჯამში 6 (ექვსი) თვის ვადით გადაწიოს აღნიშნული ვადა, რაც არ ჩაითვლება ხელშეკრულების პირობების დარღვევად.

2. ბლოკი „ც"-ს ექსპლუატაციაში მიღების ვადა: არაუგვიანეს 30/04/2025. გამყიდველს უფლება აქვს ცალმხრივი გადაწყვეტილებით ჯამში 6 (ექვსი) თვის ვადით გადაწიოს აღნიშნული ვადა, რაც არ ჩაითვლება ხელშეკრულების პირობების დარღვევად.

3. გამყიდველი უზრუნველყოფს: (ა) ბლოკი „ბ"-ს მშენებლობის დასრულებას არაუგვიანეს 30/08/2025; და (ბ) ბლოკი „ა"-ს მშენებლობის დასრულებას არაუგვიანეს 31/12/2026.

გიორგი ჯანჯღავაშვილი ქეთევან თოჩონიშვილი

საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი



მასშტაბი : 1:1,000

0 2.75 5.5 11 16.5 22 მეტრი

სახელმწიფო გეოდეზიური კოორდინატთა სისტემა

WGS_1984_UTM_Zone_38N

მისამართი	ქალაქი თბილისი, ქუჩა მირზა შაფი, №44	ნაკვეთის ფართობი: 9200 კვ.მ
დანიშნულება	არასასოფლო-სამეურნეო	შ.პ.ს. „კადლაინი"

საბურთალოს რაიონი, შერმადინის ქუჩა ტელ: 995 598 90 44 84

პირობითი აღნიშვნები

- ------- ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი არაფიქსირებული
- ——— ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი ფიქსირებული
- 01/1 შენობა-ნაგებობა
- სერვიტუტი
- + მოსაზღვრე ნაკვეთის ნიშნული
- ხე ბუჩქი
- ——— გზა
- ——— აუზი
- ——— კედელი
- ——— ღობე ქვის

საკადასტრო აღწერაზე უფლებამოსილი პირი	ხელმოწერა: გიორგი მელხეარიშვილი (54001007516)
დაინტერესებული პირი	ხელმოწერა: შპს „ახალი გ.ს" (202430468)
თარიღი : 27.03.2023 წ.	
შენიშვნა:	

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N250229048
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	27.02.2025 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	დავით ჩალათაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, მტკვრის ქუჩა #4
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	599336099
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	82200698812625

საქართველო
ორი ათას ოცდახუთი წლის ოცდაშვიდ თებერვალს, მე, ნოტარიუს დავით ჩალათაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, მტკვრის ქუჩა #4, მომმართა გიორგი ჯანიბეგაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ სურს უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება . მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართა: გიორგი ჯანიბეგაშვილმა (დაბ.: 07 მაისი 1985წ., პირადი #01031003746, პ/მ სერია 20ID39705, რეგისტრირებული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ნოე ჩხიკვაძის ქუჩა, N 5). აღნიშნული მომენტისთვის მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე, ნოტარიუსმა განვუმარტე ხელმომწერ პირს დოკუმენტზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან წაიკითხა და დაადასტურა, რომ წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. მე, ნოტარიუსი, ამ დოკუმენტის დამოწმებისას ვადასტურებ, რომ ხელმოწერა მასზე უშუალოდ ხელმომწერ პირს ეკუთვნის და არ ვადასტურებ დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად, პასუხს არ ვაგებ მათზე. ხელმოწერა შესრულებულია ხელმომწერი პირის მიერ პირადად, ჩემი თანდასწრებით. დოკუმენტი წარმოდგენილია სამ ეგზემპლარად. მხარეთ თხოვნით, დოკუმენტის ერთი ეგზემპლარი რჩება ჩემს სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მას. გადახდილია საზღაური: თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების“ შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად 162.0 (ას სამოცდაორი) ლარი, დღგ 29.16 ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა და ამავე დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტისა შესაბამისად 5 (ხუთი) ლარი, სულ 196.16 (ას ოთხმოცდათექვსმეტი და 16) ლარი.
ნოტარიუსი: დავით ჩალათაშვილი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N250228958
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	27.02.2025 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის და
ნოტარიუსი	დავით ჩალათაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, მტკვრის ქუჩა #4
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	599336099
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	65237065770525

საქართველო
ორი ათას ოცდახუთი წლის ოცდაშვიდ თებერვალს, მე, ნოტარიუს დავით ჩალათაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, მტკვრის ქუჩა #4, მომმართა გიორგი ორჯონიკიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ სურს უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება სანოტარო ბიუროს გარეთ, მისამართზე: თბილისი, ხეთაგუროვის ქ. 36. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართა: გიორგი ორჯონიკიძემ (დაბ. 10 ივლისი 1966 წელს, მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, დაბა წყნეთი, ნუშის ბაღების ქუჩა, N 13, პირადი #01010000768, პ/მ სერია 22IA15072) . აღნიშნული მომენტისთვის მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე, ნოტარიუსმა განვუმარტე ხელმომწერ პირს დოკუმენტზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან წაიკითხა და დაადასტურა, რომ წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. მე, ნოტარიუსი, ამ დოკუმენტის დამოწმებისას ვადასტურებ, რომ ხელმოწერა მასზე უშუალოდ ხელმომწერ პირს ეკუთვნის და არ ვადასტურებ დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად, პასუხს არ ვაგებ მათზე. ხელმოწერა შესრულებულია ხელმომწერი პირის მიერ პირადად, ჩემი თანდასწრებით. დოკუმენტი წარმოდგენილია სამ ეგზემპლარად. მხარეთ თხოვნით, დოკუმენტის ერთი ეგზემპლარი რჩება ჩემს სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მას. გადახდილია საზღაური: თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების“ შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად 162.0 (ას სამოცდაორი) ლარი, საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილების 34-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად 35 (ოცდათხუთმეტი) ლარი, დღგ 35.46 ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა და ამავე დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად 5 (ხუთი) ლარი, სულ 237.46 (ორას ოცდაჩვიდმეტი და 46) ლარი.
ნოტარიუსი: დავით ჩალათაშვილი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18